# ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

(2023 წლის სამეცნიერო და სხვა საქმიანობის ანგარიში)

2023 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გრძელდებოდა მუშაობა „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამით დაფინანსებულ ხუთწლიან სამეცნიერო-კვლევით პროექტზე - **„საქართველოს საზღვრები“** (ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი გიორგი ჭეიშვილი). პროექტის ერთ-ერთი მიმართულების დაგეგმილი თემის: *„ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები სომხებთან“* (2023 წელი) - შესასრულებლად, მოეწყო საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია ასპინძის მუნიციპალიტეტში. საველე სამუშაოები ჩატარდა სოფლებში: აწვიტა, ხიზაბავრა, ნაქალაქევი, სარო, ჭობარეთი, ხერთვისი, თმოგვი, ვარგავი, ტოლოში; ასევე, მიმართულების - „საზღვრების ეთნო-კულტურული განზომილებები“ – 2023 წელს დაგეგმილი თემის: *„ტრადიციული ეკოლოგიური კულტურა და თანამედროვეობა სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით“* შესასრულებლად (მასალის მოსაძიებლად) მეცნიერთა ჯგუფი იმყოფებოდა ადიგენის მუნიციპალიტეტში. მოპოვებული ახალი მასალა გამოყენებული იქნა წლიურ ნაშრომებში.

ინსტიტუტის ბაზაზე შესრულდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები: 1) **მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი სამეგრელოს გვარსახელების მიხედვით** (FR-22-1932, 2023-2025 წწ., ხელმძღვანელი დავით ჭითანავა); 2) **საზოგადოება, მკურნალი, პაციენტი: ტრადიციული ქართული სამედიცინო სისტემის სოციოკულტურული ასპექტები და თანამედროვეობა** (FR-19-8876, 2020-2024 წწ., ხელმძღვანელი ნინო მინდაძე); 3) **უცხოური კაპიტალი საქართველოში და დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციები XX საუკუნის პირველ მესამედში** (FR-21-7848, 2022-2025 წწ., ხელმძღვანელი არჩილ კოხრეიძე);

2023 წელს შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გაიმარჯვა ორმა პროექტმა: **„რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველო: გლობალური და რეგიონალური კრიზისის ლოკალური შედეგები“** (FR-23-2282, 2024-2026 წწ., ხელმძღვანელი გიორგი ჭეიშვილი) და **„თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის კულტურული ფენომენის შესწავლა სამხრეთ კავკასიაში: ანთროპოლოგიური და გენეტიკური კვლევა, ბრინჯაოს ხანიდან ადრე შუა საუკუნეებამდე“** (FR-23-17430, 2024-2026 წწ., ხელმძღვანელი ჰარალდ რინგბაუერი), რომლებიც მომავალი წლიდან ინსტიტუტის ბაზაზე განხორციელდება.

2023 წელს ინსტიტუტის მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღეს ეროვნულ და საერთაშორისო 26 სამეცნიერო პროექტში, რომლებიც ფინანსდებოდა სხვადასხვა ფონდის (შ. რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; საქართველოს საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევების ცენტრი; აშშ-ს ნაციონალური სამეცნიერო ფონდი (NSF)) მიერ სხვა ორგანიზაციების (თსუ; კავკასიის ხალთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთ ეროვნული ცენტრი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კავკასიის უნივერსიტეტი; საქართველოს ეროვნული მუზეუმი) ბაზაზე.

2023 წელს ინსტიტუტის თანამშრომელთა ავტორობით და თანაავტორობით გამოქვეყნდა 90 ნაშრომი (მონოგრაფია/წიგნი/სტატია), მათგან 22 უცხო ენაზე (14 საზღვარგარეთ); ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული იქნა 78 მოხსენება (57 - საქართველოში, 21 - უცხოეთში).

აღსანიშნავია, რომ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში და მისი ორგანიზებით 2023 წელს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები:

<u>12-14 სექტემბერი</u> - წმინდა გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“** III, *„ქრისტიანული აღმოსავლეთი და კავკასია.“* ორგანიზატორები: თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტი, წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის კავშირი. კონფერენცია ჩატარდა შერეული ფორმატით. ზუმის პარამეტრები Meeting ID: 476 542 7966.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა, ასევე, ახალგაზრდა მკვლევრებმა 5 ქვეყნის (საქართველო, პოლონეთი, სომხეთი, იორდანია, იტალია) წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან. სულ წამოდგენილი იყო 24 მოხსენება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

<u>22 დეკემბერი</u> - ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი რევაზ კიკნაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. დაიბეჭდა კონფერენციის მოხსენებათა შინაარსები - ISBN 9778-9941-33-685-0 და DOI: 10.6084/m9.figshare.24796746

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მეცნიერებმა სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებიდან. სულ წარმოდგენილი იყო 13 მოხსენება.



2023 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პერიოდული გამოცემები: **„ქრონოსი“ N 4; „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ N 27; „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ XXIII; „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ IV(30); „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XXV**; ასევე, გამოქვეყნდა საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესის (ჩატარდა 2022 წლის 3-5 ოქტომბერს) მოხსენებების ელ-ვერსია: https://caucasiologycongress.tsu.ge/leng/1/67



გარდა სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებისა, მიმდინარე წელს ინსტიტუტმა განახორციელა სხვა საქმიანობაც, რისი აღნიშვნაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

2023 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა შემდეგი ტიპის სამუშაოები:

- **ახალი ერთეულების მიღება:**
  მიმდინარე წელს ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი ერთეულები განაწილდა შემდეგ ფონდებში:
  - ქართულენოვანი წიგნები.
  - ქართულენოვანი პერიოდული გამოცემები.
  - რუსულენოვანი წიგნები

- ევროპულენოვანი წიგნები
- ევროპულენოვანი პერიოდული გამოცემები.
- ენციკლოპედია და ლექსიკონები.
- ატლასები და რუკები.

2023 წელს, გარდა ცალკეული შემოწირულობებისა, ბიბლიოთეკას შეემატა თეიმურაზ პეტრიაშვილის პირადი წიგნები და გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ შემოწირული წიგნები.

- **კატალოგიზაცია:**

  აღიწერა თ. პერტიაშვილის პირადი წიგნები და მონაცემები შევიდა საინვენტარო კატალოგში; აღწერა-კატალოგიზაციის პროცესშია ისტორიკოს ჯუანშერ ვათეიშვილის ოჯახის მიერ 2021 წელს შემოწირული წიგნები. ბიბლიოთეკის ფონდებში 2023 წელს შემოსული ყველა ახალი ერთეულის მონაცემი შევიდა საინვენტარო ნუსხა-კატალოგში და დამუშავდა ერთეულები ტექნიკური თვალსაზრისით.

- **მკითხველთა მომსახურება:**

  2023 წელს მკითხველებზე საბიბლიოთეკო ფონდების წლიურმა მოძრაობამ შეადგინა - 187 ერთეული; მკითხველზე გაიცა - 92 ერთეული; ბიბლიოთეკაში დაბრუნდა - 95 ერთეული.




- **გამოფენა-პრეზენტაცია:**

2023 წლის 10-21 ნოემბერს მეცნიერების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ინსტიტუტის ბიბლიოთეკამ მოაწყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ინსტიტუტის თანამშრომელთა ნაშრომები, კერძოდ: 2012-2023 წლების მნიშვნელოვანი გამოცემები:

- უცხოენოვანი
- მონოგრაფიები
- სამეცნიერო კონფერენციის მასალები
- სახელმძღვანელოები
- საგრანტო პროექტები (ინსტიტუტის, როგორც წამყვანი ორგანიზაციის მიერ, ასევე, სხვა ორგანიზაციების ბაზაზე განხორციელებულ სამეცნიერო

პროექტებში ჩართული ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობით გამოცემული მონოგრაფიები)

- ინსტიტუციური თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული გამოცემები
- ინსტიტუტის პერიოდული გამოცემები

გამოფენასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური სლაიდშოუ, რომელიც განთავსდა ინსტიტუტის ფბ გვერდზე: https://www.facebook.com/institute.history.ethnology/videos/895492588852135?locale=zh_CN

- 2023 წლის ბოლოს წლის ყველაზე აქტიური მკითხველი - **ალექსანდრე თვარაძე** - დაჯილდოვდა სასაჩუქრე გამოცემით - „პოლიტიკა და დემოკრატია," „ინტელექტი", თბ., 2020.

ინსტიტუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია ისტორიული და ეთნოლოგიური საარქივო ფონდი, რომელიც უნიკალურია თავისი მასალით. 2023 წელს ინსტიტუტის საარქივო ფონდში სამუშაოები მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით:

I. **საარქივო მასალების გამოყენება:** საარქივო ფონდში დაცული მასალები ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოიყენეს წლიური თემების შესასრულებლად და სხვა სამეცნიერო კვლევებში. საარქივო მასალა გამოყენებული იქნა საგანმანათლებლო და სასწავლო დანიშნულებითაც.

**II. საარქივო მასალის დიგიტალიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა:**

ანზორ ერქომაიშვილის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გაგრძელდა მუსიკალური აუდიო მასალის ციფრულ მატარებლებზე გადატანა. დიგიტალიზირებულია ახლადგამოვლენილი 84 ერთეული დრეკადი ფირფიტა. მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება და მათი ერთიან ბაზაში შეტანა.

დაწყებულია ფოტოფონდში დაცული მიკროფირების დიგიტალიზაცია (ციფრულ მატარებლებზე გადატანილია დაახლოებით 5 000 კადრი).

**III. საარქივო ფონდების შევსება:**

2023 წელს ისტორიულ და ეთნოლოგიურ არქივს გადაეცა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლების: ეთნოლოგ გიორგი გოცირიძის, ისტორიკოსების - ზურაბ და პროკოფი რატიანების პირადი საარქივო მასალები.

**IV. სისტემატიზაცია და აღრიცხვა**:

ა) არქივში დაწყებულია ანზორ ქალდანის ფონდის გრაფიკული მასალების სისტემატიზაცია და აღრიცხვა. სამუშაო გაგრძელდება მომდევნო წელსაც.

ბ) ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლებთან ერთად მიმდინარეობდა გაციფრებული აუდიო მასალის ერთიანი კატალოგის მომზადება. აღნიშნული კატალოგი იქნება საქართველოს მასშტაბით შექმნილი ერთიანი აუდიო მასალის კატალოგის ნაწილი და განთავსება ინტერნეტში. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება ქართული მუსიკით დაინტერესებული მკვლევრებისათვის.

გ) მიმდინარეობს მასალის სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია და ერთიან მონაცემთა ბაზის შედგენა დიგიტალიზირებული მიკროფირების აღსარიცხად.

დ) დაწყებულია არქივში გადმოცემული ახალი მასალების სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია.

2023 წელს გრძელდებოდა ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარი - **„საინსტიტუტო საუბრები“**, რომელზეც წარმოდგენილი იყო მოხსენებები როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის, ასევე მოწვეული მეცნიერების მიერ.

მიმდინარე წელსაც ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია აგრძელებდა თანამშრომლობას მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის არქეოგენეტიკის დეპარტამენტთან (გერმანია).

ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია ასევე თანამშრომლობს ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის ფიზიკური ანთროპოლოგიის ლაბორატორიასთან (იტალია), ტარდება ერთობლივი სამეცნიერო კვლევები. მიმდინარე წელს დაიწყო პროექტი: „**Toccare l'Archeologia: Modelli 3D di reperti archeologici per la ricerca e la promozione del patrimonio (T'AMO3D)**“ („არქეოლოგიასთან შეხება: არქეოლოგიური ნიმუშების 3D მოდელები მემკვიდრეობის შესწავლისა და პოპულარიზაციისთვის (T'AMO3D)“), რომლის ფარგლებშიც ა/წ 24-28 ივლისს ინსტიტუტში ჩატარდა ანთროპოლოგიური კვირეული იტალიელი მეცნიერების მონაწილეობით. წაკითხული იქნა რამოდენიმე ლექცია: *„ადამიანის ძვლები არქეოლოგიაში,“* (პროფ. **ფრანჩესკა ბერტოლდი.** ასევე, მან ჩაატარა პრაქტიკული მეცადინეობები ბორჯომში); *„ადამიანის ნაშთების ტაფონომია“* (ფლორენციის პრეისტორიის მუზეუმის

მკვლევარი **პიერ ფრანჩესკო ფაბრი**) და ჩატარდა პრაქტიკული სემინარი: ადამიანის ძვლების 3D სკანირება ბორჯომში, ბერთა საყდრისიდან შერჩეულ 3 თავის ქალაზე (მკვლევარი **მირეა პერუცი**); ლექციები და სემინარი გამიზნული იყო დოქტორანტებისათვის, რომლებიც პალეოანთროპოლოგიურ კვლევებში არიან ჩართულნი; საინტერესო იყო არქეოლოგებისათვის და ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის 27-29 ოქტომბერს, ვენეციის კა' ფოსკარის უნივერსიტეტის ფიზიკური ანთროპოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი **ფრანჩესკა ბერტოლდი** და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის თანამშრომლები: ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ლიანა ბითაძე** და მეცნიერი თანამშრომელი **შორენა ლალიაშვილი** იმყოფებოდენ ქალაქ ბორჯომში, ღვთისმშობლის დედის შობის დედათა მონასტერში, სადაც დაცულია სოფელ ყვიბისის ბერთა საყდრების მონასტრის კრანიოლოგიური კოლექცია. მათ შემდგომი კვლევებისათვის გადაარჩიეს ნიმუშები და აწარმოეს თავის ქალების 4 რაკურსით სურათის გადაღება და გაზომვა.

2 ნოემბერს პროფესორმა ფრანჩესკა ბერტოლდიმ, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტებს წაუკითხა ლექცია - *„საველე ანთროპოლოგია - სამარხში არსებული მდგომარეობის დეტალური აღწერა და ფოტოგრაფირება.“*



მიმდინარე წელს ინსტიტუტის დირექტორი, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი

თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი **გიორგი ჭეიშვილი,** პროფესორ **ანდრეა მანძოს** მიწვევით, სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა იტალიაში. მან ლ'ორიენტალეს უნივერსიტეტში წაიკითხა 6 ლექცია საქართველოს ისტორიასა და ისტორიულ გეოგრაფიაში.

2023 წელს ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, აკადემიკოსი **ნიკოლოზ ჯავახიშვილი** მიწვევეით სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ლიეტუვასა და ლატვიაში. მან ვილნიუსის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე წაიკითხა ლექციათა მოკლე კურსი თემაზე: ***„ლიეტუვურ-ქართული ორმხრივი ურთიერთობანი: ისტორია და თანამედროვეობა“.*** ასევე, ლატვიაში, ქალაქ რიგაში, ლატვიის ქართული დიასპორის წევრებისათვის ნ. ჯავახიშვილმა საჯარო ლექციები წაიკითხა.

ა/წ 28 ნოემბერს, ინსტიტუტის მოწვევით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა (NAS RA) და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა **გორ მარგარიანმა** წაიკითხა საჯარო ლექცია: *„საქართველოსა და სომხეთში მცხოვრები შუა საუკუნეების ადამიანის ყოველდღიურობა,“* რომელსაც ესწრებოდნენ სომეხი მეცნიერები ერევნის უნივერსიტეტიდან, თსუ-ს პროფესორები, სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები და მოწვეული სტუმრები.

მიმდინარე წლის 11 თებერვალს თსუ-ს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი რიგით მეორე ღონისძიება გაიმართა, თემაზე - **„ჩემი მთავარი სამეცნიერო მიღწევა“.** ღონისძიების ფარგლებში, საქართველოში მოღვაწე მეცნიერმა ქალებმა წარადგინეს პრეზენტაცია საკუთარი უმთავრესი სამეცნიერო მიღწევის შესახებ და გააცნეს დამსწრე აუდიტორიას, თუ რა იყო მოტივატორი ამ კვლევის დაწყებისა. აღნიშნულ ღონისძიებაში ინსტიტუტის სამი მეცნიერი თანამშრომელი მონაწილეობდა: ისტორიის დოქტორი **ნანა ბახსოლიანი** (პრეზენტაციით - „დრო და სივრცე“), ანთროპოლოგიის დოქტორი **თეა ქამუშაძე** (პრეზენტაციით - „რუსთავის საბჭოთა

მემკვიდრეობა - პატარა ქალაქის დიდი ამბები“) და ისტორიის დოქტორი **ნატო სონღულაშვილი** (პრეზენტაციით - „ოჯახური ტრადიცია გრძელდება“).

2023 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ორგანიზებით, სამეცნიერო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის ჩატარდა რიგით მეექვსე ღონისძიება თემაზე - **„წლის საუკეთესო მიღწევა.“** აღნიშნულ ღონისძიებაზე ინსტიტუტის პერიოდული გამოცემის - „ქრონოსის“ მთავარმა რედატორმა ალექსანდრე თვარაძემ წარადგინა პრეზენტაცია - ***„ჟურნალი "ქრონოსი" ERIH PLUS-ის აკადემიური ჟურნალების ევროპულ ბაზაში.“***

2023 წელს შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გაიმარჯვა ორმა პროექტმა: **„რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველო: გლობალური და რეგიონალური კრიზისის ლოკალური შედეგები“** (FR-23-2282, ხელმძღვანელი - გიორგი ჭეიშვილი) და **„თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის კულტურული ფენომენის შესწავლა სამხრეთ კავკასიაში: ანთროპოლოგიური და გენეტიკური კვლევა, ბრინჯაოს ხანიდან ადრე შუასაუკუნეებამდე“** (FR-23-17430, ხელმძღვანელი - ჰარალდ რინგბაუერი), რომლებიც მომავალი წლიდან ინსტიტუტის ბაზაზე განხორციელდება.

იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 10 ნოემბერს, ანთროპოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ საპატიო სიგელი გადასცა ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის

ხელმძღვანელს, მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, **ლიანა ბითაძეს.**

ამავე დღესთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი **გია გელაშვილი.**

ფუნქციონირებს ინსტიტუტის ვებ-გვერდი: https://ihe.tsu.ge რომელიც მუდმივად ახლდება ინფორმაციით.